



[RSS](#)



- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [ბლოგები](#)

[Home](#) / [ახალი ამბები](#) / არასამთავრობოების მიმართვა პარლამენტს საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს შესახებ  
13.02.2015

# არასამთავრობოების მიმართვა პარლამენტს საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს შესახებ

[საყდრისი.](#)

ნინო ნატროშვილი

არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს პარლამენტს საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი დროებითი საგამომიებო საპარლამენტო კომისიის შექმნის და დაკომპლექტების საკითხის განხილვას სთხოვენ.

"როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, 2014 წლის 25 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხს. კომისიის გამოსაკვლევ საკითხად განისაზღვრა -საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შესაბამის თანამდებობის პირთა მიერ საყდრისი-ყაჩაღიანთან დაკავშირებით განხორციელებული ქმედების (მათ შორის, ძეგლის სტატუსის მოხსნისა და კომპანია "RMG-Gold"-ის მიერ საბადოს ტერიტორიაზე სამუშაოების ჩატარების საკითხი) შესწავლა.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე საკითხის მხარდაჭერის შემდეგ, კომისიაში პროპორციული წარმომადგენლობის კვლევას განსაზღვრავს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი და ამტკიცებს პარლამენტის ბიურო. ხოლო, დროებითი საგამომიებო კომისიის წევრთა კანდიდატურების წარდგენის შემდეგ კენჭი ეყრება დროებითი საგამომიებო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების პროექტს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ყველა შესაბამისი სუბიექტის მიერ ამ დრომდე სრულად არ მომხდარა დროებითი საგამომიებო კომისიის წევრობის კანდიდატების დასახელება. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვნად ამცირებს საყდრისი-ყაჩაღიანის საკითხზე საგამომიებო კომისიის შექმნის და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

მოვუწოდებთ ყველა საპარლამენტო ფრაქციას, რომ ზემოთ აღნიშნული დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზნით, პატივი სცეს საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას, გამოიჩინოს მაღალი სამოქალაქო და პოლიტიკური პასუხისმგებლობა და დაასახელოს დროებითი საგამოძიებო კომისიის წევრობის კანდიდატები.

ამასთან, გამოვხატავთ მზადყოფნას, რომ აქტიურად ვითანამშრომლოთ საქართველოს პარლამენტის დროებით საგამოძიებო კომისიასთან და მივაწოდოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა ის ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საყდრისი-ყაჩაღიანთან და უაღრესად მნიშვნელოვანია საკითხზე ობიექტური გადაწყვეტილების მისაღებად.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)

ფონდი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF)

ასოციაცია მწვანე ალტერნატივა

აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის და ხელოვნების საბჭო

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EFRC)

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

გარემო და განვითარება



### ამავე თემაზე:

- [ერევანში ოპოზიციური პარტიების მიტინგი ჩატარდება 2015.02.16](#)
- [ევრაზიულ საბაჟო კავშირში სომხეთის წევრობის პლუსები და მინუსები 2015.02.16](#)
- [სუპერმარკეტების ქსელ „ფრესკო“-ს დამფუძნებლის, ვასილ სოფრომამის განცხადება 2015.02.16](#)
- [ივანიშვილი: "რუსთავი 2" გაფართოებულ "რეალ ტვ"-ს წარმოადგენს 2015.02.16](#)
- [ივანიშვილი: ბიზნეს კონსულტანტის დაქირავებაზე საუბარი საწყენი სულაც არ არის 2015.02.16](#)
- [ივანიშვილი: რაღაც ვთქვი გიგაურსა და კოჟორიძეზე და ეს მთელ არასამთავრობო სექტორს დაუკავშირეს, როგორ გაბედაო 2015.02.16](#)
- [ივანიშვილი ნეპოტიზმზე და პირად დაცვაზე: ეს პრობლემები ღარიბაშვილმა გენიალურად გადაჭრა 2015.02.16](#)

### კომენტარი